ხელშეკრულება №10

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. წყალტუბო

16 თებერვალი 2016 წელი

ერთი მხრივ ა(ა)იპ ,,წყალტუბოს საფეხბურთო კლუბი სამგურალი"(შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის ამირან ვარდანიძის სახით ს/კ 421268014 სახით და მეორის მხრივ - შ.პ.ს ,,სპორტ სალერ ცენტრი''წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან ხარებავას სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი'') ს/კ 404421345 , ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ,,ს'' ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 სპორტული საქონლის და მოწყობილობების შეძენა

პლასმასის ბოთლი(წყლის) 9231150 12 ცალი.1 ცალის ღირებულება 10 ლარი.

ბოთლების კალათა(წყლის)9310350 1 ცალი. 1 ცალის ღირებულება 70 ლარი.

სულ ღირებულებით 190 ლარი.

კლასიფიკატორის კოდი: 37400000

2.2 მომსახურების შესყიდვა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად გამყიდველის ანგარიშზე ჩარიცხული თანხის პროპორციულად.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 190(ასსოთხმოცდაათი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში 10 კალენდარული დღის ვადაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ინვოისის წარმოდგენის საფუძველზე.

4.3. მყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 3.1პუნქტში მითითებული თანხის ანგარიშსწორება გამყიდველთან მოახდინოს.

5. მომსახურების მიღება ჩაბარების წესი

მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ გაწეული მომსახურეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა
6.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე.
6.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 20 თებერვლის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები
7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მოსახურება სათანადო ხარისხით.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მოსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 30 (ოცდაათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ანგარიშსწორება

10. 1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას რომელიმე მხარის მიმართ თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.რომელიც მთლიანად შეუძლებელს ხდის ერთერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.
მხარეები ვალდებული არიან დუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ასეთი გარემოებების არსებობის შესახებ.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.
12. 1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების,დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები

12.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
12.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული სამუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ
12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 25 მარტამდე

მხარეთა იურიდიული მისამართები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი სამგურალი“	შპს „სპორტ სალერ სენტერი“
ს/ნ 421268014	ს/კ- 404 421 345
	მისამართი : თბილისი
მისამართი: ქ წყალტუბო 26 მაისის ქ. 2	მ.გელოვანის გზტ. 21
	მომხ. ბანკი:
მომსახ. ფინანსთა სამინისტროს სახაზინო	ხს „თიბისი ბანკი“
	ბანკის კოდი:
სამსახური.	TBCBGE22
	ანგარიშის ნომერი
კოდი TRFSGE22	GE27TB7903936080100003
ანგარიშის ნომერი 744957509	

დირექტორი: ნ.ვარდანიძე

დირექტორი: